აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

27 თებერვალი, 2018

დადგენილება №56(17/18)
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლა/სწავლებისა
და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის
პოლიტიკის შესახებ

დამტკიცებულ იქნას სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

1. პოლიტიკის მიზანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - „უნივერისტეტი“) სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის (შემდეგში - „ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა“) მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტში სწავლა/სწავლებისა და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის, სამეცნიერო, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის ღია აკადემიური გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ პიროვნული პოტენციალის სრულად რეალიზებასა და საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში ინტეგრირებას.

2. გამოყენების სფერო

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და პროცედურები გამოიყენება უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების, აგრეთვე და სხვა ქვეყნის უსდ-ებთან ყველა სახის გაცვლითი პროგრამების განხორციელებისას.

3. პასუხიმგებლობა

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებაზე და დამტკიცებაზე პასუხიმგებელია უნივერსიტეტის მართვის ორგანოები.

ინტერნაციონალიზაციის პროცედურების განხორცილებაზე, თავის კომპეტენციების ფარგლებში, პასუხიმგებელია:

- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია;
- საგარეო ურთიერთობისა და განვითარების სამსახური;
- ფაკულტეტის დეკანატები;
- უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავების, იმპლემენტაციის და შეფასების პროცესებს სამუშაოთა კოორდინაციას უწევს საგარეო ურთიერთობისა და განვითარების სამსახური.

4. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები

კარგი მართველობის პრინციპებიდან გამომდინარე უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ სახელმძღვანელო პრინციპებს:

- სამართლიანობა

  ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღმა არსებობს სამართლიანი არგუმენტი და გადაწყვეტილების მიღების ობიექტური კრიტერიუმი;

- თანასწორობა

  ყველა ადამიანის მიმართ ვლინდება ერთნაირი და მიუკერძოებელი მიდგომა

მიუხედავად მისი გენდერული, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნისა. დაუშვებელია "ზიზღის ენას" გამოყენება და რაიმე სახის დისკრიმინაცია.

- გამჭვირვალობა

  უნივერსიტეტში მოქმედი პოლტიკა, პროცესი და გადაწყვეტილებები არის საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის

- საზოგადო ინტერესის უზენაესობა

  ორგანიზაციაში მიმდინარე ყველა პროცესი და ნებისმიერი გადაწყვეტილება ორიენტირებულია მაქსიმალურად მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზებაზე. ამავდროულად, პროცესების ორგანიზება ხდება იმგვარად, რომ პროდუქტიულად ხდებოდეს სახელმწიფო სახსრების ხარჯვა.

- სოციალური პასუხიმგებლობა

  უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის სოციალური პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, რისთვისაც წაახალისებს თანამშრომლებს რათა მათ თავისი საქმიანობაში არ მოხდინონ ზიანის მიყენება ბუნებასა და გარემოზე, იმოქმედონ ეთიკურად, გაითვალისწინონ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებები და დადებითი წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებასა და სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.

5. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

უნივერსიტეტის სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის საქმიანობა წარმოადგენს მმართველობით გადაწყვეტილების ერთობლიობას, რომელიც ეფუძნება ინტერნაციონალიზაციის დეკლარირებულ სახელმძღვანელო პრინციპებს და უზრუნველყოფს როგორც ქართველი, ასევ უცხოელი სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტის პიროვნული თვისებებისა და გამოცდილების გათვალიწინებით მათი მისწრაფებებისა და მიზნების რეალიზაციის ხელშეწყობას.

პოლიტიკა მოიცავს ორგანიზაციულ მართვის, სწაავლა/სწავლების, სამცნიერო საქმინობის, სერვისებისა განხორცილებეისა და ხარისხის მართვის საკითხებს.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით დასახული მიზნების მისაღწევად გამოყოფილია ოთხი ძირითადი მიმართულება, რომელთა განვითარებაზეც ზრუნავს უნივერსიტეტი:

- ინსტიტუციური პარტნიორობის განვითარება;
- უცხოური სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტის მოზიდვა და ინტეგრაცია;
- აწსუ-ს სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტის საერთაშორისო მობილობა
- უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების ხარისხის ზრდა.

თავის მხრივ, ყოველი მიმართულება შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე საკვანძო საქმიანობასა და პროგრამას, მიმართულს კონკრეტული შესაძლებლობის განვითარებაზე.

5.1. ინსტიტუციური პარტნიორობის განვითარება

უნივერსიტეტი ინსტიტუციურ პარტნიორობას განიხილავს როგორც შესაძლებლობას და საშუალებას რათა მოახდინოს როგორც უნივერსიტეტის, ასევე საუნივერსიტეტო საზოგადოების მეტი ინტეგრაცია საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებში.

ინსტიტუციური პარტნიორობის განვითარების ქვეშ მოიაზრება:

- საგანმანთლებლო და კვლევითი პროგრამების ერთობლივი განხორციელება;
- აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციების ამაღლების პროგრამები;
- უნივერსიტეტში მართვის ეფექტური სისტემების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა.
- საერთაშორისო პროექტების მოძიების მიზნით აქტიური თანამშრომლობა რეგიონში აქტიურ ყველა მსხვილ დონორ ორგანიზაციასთან, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური პროგრამები და პროექტები უმაღლესი სასწავლებლებისათვის, European Commission-Erasmus+; Horizon 2020, NATO; GIZ; USAID; Millenium Chalange Corporation (MCA Georgia); Volkswagen Foundation, US State Department, British Council; DAAD; CEU; etc.
- ახალი უცხოენოვანი პროგრამების შექმნა და აკრედიტაცია;
- საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება/განვითარება ფაკულტეტების/დეკანატების საჭიროებების გათვალისწინებით;
- საერთაშორისო ფონდების მოძიება და კონტაქტზე გასვლა;
- უნივერსიტეტის იმიჯის განახლება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე
- უნივერსიტეტის შესახებ საინფორმაციო მასალების გადაგზავნა უცხოეთში აკრედიტებულ საქართველოს საელჩოებში, პარტნიორ უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში;
- უცხოენოვანი პროგრამებისა და კურსების შესახებ ინფორმაციის განთავსება ინგლისურ ენაზე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

5.2. უცხოური სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტის მოზიდვა და ინტეგრაცია

უცხოელ სტუდენტურ, აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტისათვის სამუშაო და სასწავლო თანამედროვე გარემოს განვითარებით, სოციალურ-კულტურულ ინტეგრაციის ხელშეწყობით უზრუნველყოფს მათ ეფექტიან ჩართულობას აწსუ-ს საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში.

სამუშაო და სასწავლო თანამდეროვე გარემოს ქვეშ იგულისხმება:

- თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო, სამუშაო და საცხოვრებელი სივრცის ხელმისაწვდომობა;
- კარგად აღჭურვილი კვლევითი ლაბორატორიების ხელმისაწვდომობა;
- სამეცნიერო პუბლიკაციების, ელექტრონული ჟურნალებისა და მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობა;

- უნივერსიტეტში ინგლისურენოვანი აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტის ხელმისაწვდომობა;
- სწავლების ინოვაციური მეთოდებისა და ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა;

სოციალურ-კულტურულ ინტეგრაციის ქვეშ იგულისხმება;

- სტუდენტების მოთხოვნებზე მორგებული სტუდენტური სერვისები;
- უცხოელი სტუდენტურ, აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტის ადაპტაციაზე და ინტეგრაციაზე მიმართული სერვისები და პროგრამები;

უნივერსიტეტი მიესალმება და უზრუნველყოფს უცხოური სტუდენტების მოზიდვას, როგორც პირდაპირი ჩარიცხვით წესით, ასევე სტუდენტური მობილობის ფარგლებში.

უცხოური სტუდენტების მოზიდვის საქმიანობის ქვეშ იგულისხმება:

- საქართველოში აკრედიტირებული მრავალფეროვანი და ბაზის მოთხოვნებზე ორიენტირებული ინგლისურენოვანი საგანმანთლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა;
- ქართული ენის მოსამზადებელი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმისაწვდომობა;
- საერთაშორისო სამთავრობო, არასამთავრობო და პროფესიულ დაწესებულებებთან კოოპერაცია და ერთობლივი პროექტების განხორციელება;
- უცხოელი აბიტურიენტების მხრიდან მაღალი დაინტერესების მქონე ქვეყნებში აქტიური საინფორმაციო და სარეკლამო არხების გამოყენება;

სტუდენტური მობილობის მხარდამჭერი საქმიანობის ქვეშ იგულისხმება:

- აქტიური ჩართულობა საერთაშორისო გაცვლითი და სამეცნიერო პროგრამებში, რომელებიც მხარს უჭერენ სტუდენტურ საერთაშორისო მობილობას;
- საქართველოს შიგნით მყოფი უცხოქვეყნის სტუდენტებისათვის მაღალი ხარისხის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო კურსების და გაუმჯობესებული სასწავლო და სოციალური გარემოს შეთავაზება;
- უცხოეთის უსდ-თან სტუდენტური, აკადემიური და ადმინისტრაციული კონტინგენტის გაცვლაზე პირდაპირი კავშირების დამყარება.

5.3. აწსუ-ს სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტის საერთაშორისო მობილობა

უნივერსიტეტი თავისი სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტის საერთაშორისო მობილობას ერთის მხრივ აღიქვამს როგორც მათი პიროვნული პოტენციალის სრულად რეალიზების ხელისშემწყობ საქმიანობას და მეორეს მხრივ კი როგორც ინსტრუმენტს, რომელიც მოახდენს თავად უნივერსიტეტის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში მიმდინარე პროცესებში.

სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტის საერთაშორისო მობილობის ხელშემწყობ საქმიანობის ქვეშ მოიაზრება:

- უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებზე დაფუძნებული მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობა;
- უნივერსიტეტში ინოვაციურ სამეცნიერო საქმინობის ხელმშეწყობა;
- უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტისათვის ინგლისური ენის შესწავლის კურსების ხელმისაწვდომობა;
- უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული კონტინგენტისათვის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობის სერვისები;
- აქტიური ჩართულობა საერთაშორისო გაცვლითი და სამეცნიერო პროგრამებში, რომელებიც მხარს უჭერენ საერთაშორისო მობილობას.

5.4. უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების ხარისხის ზრდა

ინტერნაციონალიზაციას პროცესს უნივერსიტეტი განიხილავს როგორც შესაძლებლობას რათა მიიღოს წვდომა ცოდნასთან, რესურსებთან და კვალიფიცირებულ კადრებთან, რომელიც შეიძლება მართული იქნეს უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაზე.

უნივერსიტეტი შესაძლებლობის ქვეშ განიხილავს:

- უნივერსიტეტში არამარტო ინგლისურენოვანი, არამედ ყველა საგნმანათლებლო პროგრამის, სამეცნიერო საქმინობისა და ორგანიზაციული მმართვის სისტემის ხარისხის მართვის სტანდარტების დანერგვას;
- უცხოური უნივერსიტეტებისა და სამთავრობო სააგენტოების მხრიდან სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების ხარისხის სისტემის განვითარებაში ინსტიტუციონალურ მხარდაჭერას;
- უცხოელი ლექტორების და მკვლევარების ჩართვას სასწავლო პროცესში და კვლევით პროექტებში;
- საერთაშორისო გამოცდილების მქონე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვას;
- პოსტ-მობილობის რეპორტის სისტემის განვითარებას

პოლიტიკის დასახული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტი შეასრულებს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების სტრატეგიულ მიმართულებას, რომელიც წარმოადგენს იმ მიზანთა ერთობლიობას, რომელთა მიღწევაც სურს სწავლა/სწავლების, სამეცნიერო საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიმართულებით და ამ მიზნების მისაღწევად შესასრულებელ კონკრეტულ ამოცანებს. სტრატეგია გულისხმობს საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში.